გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
ციფრული მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
საკითხები გასაუბრებისათვის

გასაუბრება გულისხმობს აპლიკანტის მიერ წინასწარ შერჩეული თემის გარშემო მსჯელობას, საკუთარი დასკვნების წარმოდგენას და კითხვა-პასუხის ფორმატს.

1. ახსენით სახელმწიფო მმართველობის ფუნქციები და მათი მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში.
2. რა არის საჯარო პოლიტიკა და როგორ მიმდინარეობს მისი დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი?
3. რა განსხვავებაა მმართველობის ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ მოდელებს შორის?
4. ახსენით სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები და მათი გავლენა მმართველობის სისტემაზე.
5. განიხილეთ საჯარო სამსახურის სამართლებრივი საფუძვლები და სახელმწიფო მოხელის როლი.
6. როგორია ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და მისი მნიშვნელობა დემოკრატიულ სახელმწიფოში?
7. როგორია მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი დემოკრატიისთვის?
8. რას ნიშნავს გამჭვირვალობა საჯარო მმართველობაში და როგორ მიიღწევა იგი?
9. როგორ მოქმედებს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება მმართველობის პროცესებზე?
10. განიხილეთ ციფრული ტექნოლოგიების როლი საჯარო სერვისების გაუმჯობესებაში.
11. რას ნიშნავს „ციფრული უნარები“ და რატომ არის მათი განვითარება მნიშვნელოვანი საჯარო სექტორში?
12. ახსენით მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების პრინციპი.
13. რა არის მონაცემზე დაფუძნებული მენეჯმენტი და როგორ შეიძლება მისი გამოყენება საჯარო მმართველობაში?
14. რატომ გაინტერესებთ ციფრული მმართველობის სფერო და როგორ უკავშირდება ის თქვენს წინა აკადემიურ ან პროფესიულ გამოცდილებას?
15. როგორ ფიქრობთ, რა ცოდნას ან უნარებს უნდა ფლობდეს თანამედროვე მმართველობის სპეციალისტი 21-ე საუკუნეში?
16. ახსენით რას ნიშნავს სამოქალაქო საზოგადოება?